

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/04

თბილისი

“ 23 “ იანვარი 2018 წ.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კონკურსის ჩატარების წესის 1 მუხლის, საჯარო სამართლის კათედრის გამგის წარდგინებებისა და ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრის გამგის წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის 25 იანვარს გამოცხადდეს ღია კონკურსი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) წლის, ასისტენტ პროფესორის 4 (ოთხი) წლის და ასისტენტის 3 (სამი) წლის ვადით დასაკავებლად.
2. კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოოს 2018 წლის 27 თებერვლიდან 2018 წლის 09 მარტის ჩათვლით. ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2018 წლის 16 მარტს. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში შედეგების გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში (19, 20, 21 მარტი). კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2018 წლის 22 მარტს.
3. კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში არჩეული იქნება 4 აკადემიური პერსონალი - 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 2 ასისტენტი.

სამართლის ფაკულტეტი **საჯარო სამართლის კათედრა**

1 ასოცირებული პროფესორი
1 ასისტენტ პროფესორი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი **ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა**

2 ასისტენტი

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებად კონკურსში
მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- სამეცნიერო კვლევების ანოტაცია (1 გვერდზე, acadnux. – 12, 1,5 ინტერვალით);
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები)
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია.

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- მისი ხელმძღვანელობით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამები(საბაკალავრო, სამაგისტრო)

ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებად კონკურსში
მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები)
- უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- სამეცნიერო კვლევების ანოტაცია (1 გვერდზე, Acadnux – 12, 1,5 ინტერვალით);

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები).

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სამეცნიერო კვლევების ანოტაცია (1 გვერდზე, Acadnux. – 12, 1,5 ინტერვალით);
- უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

4. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ავტობიოგრაფია (CV)
- საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
- ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან

5. მამაკაცებმა 27 წლამდე უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი.

6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას და საქართველოს პერიოდულ პრესაში.

7. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი